



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა:
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და
სკოლების თანამშრომლობის საუკეთესო გამოცდილება
ევროპაში

დოქტორი ზიგლინდე ვეირინგერი
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ზალცბურგის უნივერსიტეტი, ავსტრია

2018
საქართველო



სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სკოლების თანამშრომლობის საუკეთესო გამოცდილება ევროპაში

დოქტორი ზიგლინდე ვეირინგერი
განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ზალცბურგის უნივერსიტეტი, ავსტრია

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია



სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა (სსო) და სკოლების თანამშრომლობის საუკეთესო ევროპული გამოცდილების შესახებ ნაშრომის დაწერა რთულია, რადგან არ არსებობს თვით ამ გამოცდილების მრავალფეროვნებისა და „საუკეთესოს“ ხარისხის ერთობლივი კრიტერიუმები ევროპის ფარგლებში.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა რამდენიმე საფუძველს:

1. ნაშრომს არ აქვს პრეტენზია, რომ ამომწურავია. მასში ასახულია საკვანძო ასპექტები, განსაზღვრულია მათი ურთიერთქმედება და მოცემულია განვითარების დინამიკის სავარაუდო ანალიზი.
2. ნაშრომში ევროპის კავშირის ყველა წევრი ქვეყნის კონკრეტული, საუკეთესო გამოცდილების ანგარიში არ არის წარმოდგენილი. მაგალითებით აღწერილია, როგორ განხორციელდა ავსტრიაში ფორმალური განათლების ინსტიტუტებსა და სსო-ს შორის თანამშრომლობის იდეა 1960 წლიდან.
3. ნაშრომი არ გვთავაზობს საქმიანობის კოდექსს. მისი მიზანია, წახალისოს იდეები და მათი ხორცშესხმის ინოვაციური გზების მოძიების ინიციატივები საქართველოს რეალობაში.
4. ნაშრომი ეფუძნება სწავლების ავტორისეულ გამოცდილებას ავსტრიულ სკოლაში 1973 წლიდან, მის მონაწილეობას განათლების პოლიტიკის ცვლილებაში, ნიჭიერთა საგანმანათლებლო პროგრამის/კურსის(?) შექმნასა და მის ინტეგრაციას განათლების სისტემაში, ასევე მასწავლებელთა მომზადების გამოცდილებასა და ავტორისავე მეცნიერულ კვლევას.

ნაშრომის სტრუქტურის გზამკვლევად ქვემოთ მოცემული ოთხი კითხვა გამოგვადგება:

1. რატომ არის საჭირო სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა?
2. თანამშრომლობის რა ფორმებზეა საუბარი?
3. რა პირობებსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამშრომლობა?
4. შედეგად, რა პრაქტიკასა და გამოცდილებას ველოდებით?

დაბოლოს, წარმოდგენილი იქნება შემდგომი თეორიული იდეებისა და მეცნიერული მიდგომების ნაკრები.

1. რატომ არის საჭირო სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობა?

თუკი სკოლას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, შეიძლება გამოვყოთ ერთი საერთო საფუძველი: სწავლება ეფუძნება განათლების მიზნებს, ხოლო განათლების მიზნები ორიენტირებულია საზოგადოების უწყვეტ სარგებელსა და კეთილდღეობაზე. ეს მიზნები დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ჯგუფების მონაწილეობით წარმოებული განხილვებისა და მოლაპარაკებების პროცესში ჩამოყალიბდა. მას ეცნობა ფართო საზოგადოება, მშობლებს შეუძლიათ

ინფორმაციის მიღება კონკრეტული სკოლის საგანმანათლებლო მიზნების შესახებ. სკოლის ტიპების მრავალგვარობა დამოკიდებულია იმ პერსპექტივებსა და ინტერპრეტაციებზე, რომელიც მის მიმართ აქვთ კონკრეტულ ქვეჯგუფებს, ასევე მათსავე გავლენის მასშტაბზე, ძალაუფლებასა და აქტიურობაზე. ამრიგად, შეგვიძლია დავასახელოთ სკოლები, რომელთა მიზანი იყო სამხედრო ძალით მოქალაქეთა დაცვა (მაგ., ჯარისკაცები სპარტაში), სამხედრო ძალაუფლებასთან ერთად ადმინისტრაციის ავტორიტეტის და ძალაუფლების განმტკიცება (მაგ., კლერკები ჩინეთის უძველეს იმპერიაში), სწავლებითა და წვრთნით ცოდნის შენახვისა და უწყვეტობის დაცვა (მაგ., ვაჭრობა უძველეს მესოპოტამიაში ან რელიგიური იდეები შუასაუკუნეების დამწერლობის სკოლებში), კონკურენციის წახალისებით ცოდნის შექმნა (მაგ., ეროვნული და/ან საერთაშორისო ოლიმპიადები მათემატიკაში), მოსახლეობის გადარჩევა კონკრეტულ სკოლებში წვდომის შეზღუდვით (მაგ., ელიტური სკოლები). ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო სკოლის სისტემა საოჯახო განათლების დამატებაა და აძლიერებს ჯგუფის ან თემისადმი მიკუთვნებულობას, ის ადამიანებს დამატებით სთავაზობს ქცევის დომინანტი კოდექსის შესატყვის განათლებას – „ჩვენ ინსაიდერები (ჯგუფში მიღებული წევრები) ვართ, ხოლო სხვები – აუტსაიდერები (ჯგუფს გარეთ დარჩენილი წევრები)“.

საგანმანათლებლო მიზნების მრავალგვარობის მიუხედავად, ყველა სკოლა მიზნის მიღწევის რამდენიმე საერთო პრინციპს იზიარებს. განათლების პროცესი მიმდინარეობს ოჯახს გარეთ, ორგანიზებულია იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც არ არიან ოჯახის წევრები და ემყარება სისტემატურად განახლებად სილაბუსსა (საგნის გეგმას) და სწავლა-სწავლების გარემოს. განათლების ზოგადი მიზნების საფუძველი დიდი საზოგადოების სოციალური შეთანხმებაა. პედაგოგებს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეთ დიდაქტიკაშიც და განათლების მიდგომებშიც. სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ისინი პროფესიულად ვითარდებიან . მასწავლებელთა პროფესიული განვითარება განასხვავებს სასკოლო განათლებას საოჯახო განათლებისაგან.

- ზემოთ აღვნიშნეთ საზოგადოების მნიშვნელობა სკოლის შექმნაში. საჭიროა გავანალიზოთ ის კომპონენტები, რასაც საზოგადოება ეფუძნება. ამ საკითხზე პასუხების ძიება წინამდებარე ნაშრომის მიზანს ბევრად სცილდება, თუმცა, რამდენიმე არსებითი ასპექტის აღნიშვნა მაინც შესაძლებელია. ეს ასპექტებია: ეროვნება, კულტურა, ენა, ტრადიცია, ისტორია, ღირებულებები, რწმენა, გამოცდილება, კონსტიტუცია, პოლიტიკა, ხელისუფლება, იდეები, რელიგია და სხვა მრავალი. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ საზოგადოება არსებობს სხვადასხვა საფუძველებზე, რომლებიც პერიოდულად იცვლება, ამ ცვლილების მიზეზი საზოგადოების განვითარებაა. საზოგადოების განვითარებაზე კი გავლენას ახდენს სკოლა და განათლება. შეჯამების სახით სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობის გამო სკოლა:აკავშირებს ადამიანებს საზოგადოებასთან.

- გადასცემს ქვევის დადგენილ კოდებს მომავალ თაობებს.
- არის საზოგადოებაში ცვლილების წყარო.
- ქმნის დაგეგმილ და დაუგეგმავ გავლენებსა და შედეგებს.
- არის საზოგადოების სარკე: როგორი იყო (წარსული), როგორია (აწმყო), როგორი იქნება (მომავალი).
- დამოკიდებულია მმართველობის ფორმაზე.
- ემსახურება სუვერენს – ადამიანებს „demos kratós“-ში ან „res public“-ში.
- ქმნის საზოგადოებაზე კრიტიკულ აზრს.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში საფუძველი ეყრება მომავლის საზოგადოებას. ამ განცხადებას მაშინვე მოჰყვება კითხვა: როგორი ადამიანები სურს რომ ჰყავდეს ამ საზოგადოებას – ჯარისკაცები, კლერკები, სუბიექტები თუ ზრდასრული და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები?

სკოლაში სწავლების ეფექტურობას რამდენიმე გარემოება ზღუდავს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მომავალი სოციალური ტენდენციების წინასწარ განჭვრეტის სირთულე. მაგალითად, არავინ იცის, რა ცოდნა და უნარები დასჭირდება საკუთარი ცხოვრების მართვისთვის 10 წლის ბიჭს ზრდასრულობაში. მეორე გარემოებად შეიძლება დასახელდეს ის განზომილება, რომელიც მოქმედებს ინდივიდის სოციალურ განვითარებაზე: სკოლაში სწავლება დროში შეზღუდულია და მისი გავლენა ოჯახში განათლებასთან შედარებით სუსტია. მესამე გარემოება თვით სკოლის სისტემის სტრუქტურას ეხება: საკლასო ოთახები მეტ-ნაკლებად ჩაკეტილია, ერთსა და იმავე ადამიანები ხანგრძლივად ურთიერთობენ; სწავლის შინაარსი უკავშირდება სახელმძღვანელოებს და არა ცხოვრებას; სწავლების მეთოდები თეორიულ პრინციპებზეა ორიენტირებული და არა ცხოვრების სწავლაზე. მეოთხე, თვით სკოლა არის სწავლებისა და სწავლის შესახებ დისკურსების ადგილი, რაც წარმოქმნის შიდა ინსტიტუციურ პრობლემებსა და იწვევს ცვლილებებს.

ამ ანალიზიდან გამომდინარე, თავდაპირველ კითხვაზე პასუხები შეიძლება დაჯგუფდეს მოთამაშისა (აქტორის) და მიმღების მიხედვით. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ინდივიდი, ჯგუფი, ინსტიტუტი ან სოციალური სისტემა. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ამ პასუხებისთვის რამდენიმე საბაზისო პრინციპი ვიპოვნოთ, რომელიც თანამშრომლობას ეხება და რომლის ფარგლებში ჩართული პარტნიორები ურთიერთსარგებელს იღებენ.

თანამშრომლობამ უნდა

- ✓ შეამციროს სასკოლო ცხოვრებასა და ცხოვრებას შორის ნაპრალი.
- ✓ შექმნას ცოდნისა და უნარების ტრანსფერის შესაძლებლობები.
- ✓ უზრუნველყოს გამოცდილება, რომ ყოველი ადამიანი მნიშვნელოვანია.
- ✓ ადამიანებისთვის შეასრულოს მაკორექტირებელი ფაქტორის როლი.
- ✓ შეასრულოს განვითარების სრულყოფის ინიციატორის როლი.

✓ რეალური გახადოს „res publica“.

ამ არგუმენტების წყაროები, ძირითადად, ფილოსოფიურ და ანტროპოსოფიურ პარადიგმაში უნდა ვეძებოთ. სწავლის ფსიქოლოგია ამ მოსაზრებას ამყარებს: სწავლა აღარ შემოიფარგლება არც სკოლის შენობით და არც ბავშვობის ან მოზარდობის პერიოდით; ის სხვადასხვა ხანგრძლივობითა და ფორმით, სხვადასხვა ადგილას მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიმდინარეობს.

ედგარ ფორის (Edgar Faure) მიერ, იუნესკოს ანგარიშში (UNESCO 1972) „სწავლა ცხოვრებისთვის“ წარმოდგენი იყო „უწყვეტი განათლების“ იდეა, რომელიც ჟაკ დელორის (Jacques Delors) ანგარიშით – „შინაგანი საგანძური“ (UNESCO 1996) – გამყარდა. დელორისი აღწერს სწავლის სამ ფორმას – ფორმალური, არაფორმალური და თავისუფალი/იმპლიციტური და მათ პიროვნების განვითარებაში თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს. ამავდროულად, ვარაუდობს, რომ ყველაზე საფუძვლიანი სწავლა სკოლის ან ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ხდება, მეცნიერულ და მრავალჯერადად დადასტურებულ ფაქტად იქცა. მიუხედავად ამისა, ამან ფორმალური განათლება ვერ გახადა დრომოჭმული, რადგან ის უზრუნველყოფს საბაზისო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს.

სხვა არგუმენტი ნეირობიოლოგიაში შეიძლება ვეძებოთ. ადამიანის გონება მანქანა არ არის; ყოველი ადამიანი ინფორმაციას თავისებურად გადაამუშავებს და შესაბამისი რეაგირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგ., კონკრეტულ სიტუაციაზე, მიმდინარე ფიზიკურ მდგომარეობაზე ან წინარე გამოცდილებაზე (ძირითად წყაროდ იხ.: J. Piaget 1932, 1958; L. S. Vygotsky 1978; H. von Foerster 2002; H. R. Maturana და F. G. Varela 1980, 1987 ნაშრომები). მთავარი დებულება ის არის, რომ სწავლა ქმედებისა და უკუქმედების საშუალებით კი არ ხდება, არამედ მსწავლელის გონებრივი აქტივობით, პრობლემის გადაჭრის უნარების სწავლება შეუძლებელია, საჭიროა მათი აღმოჩენა და გამოცდა. გონება მუდმივი მოდულაციის პროცესშია; მას გარე სამყაროდან მრავალფეროვანი სტიმულები სჭირდება. გონების განვითარება ამ სტიმულების ხარისხზეა დამოკიდებული.

კონსტრუქტივიზმის ამ პარადიგმას უდიდესი გავლენა ჰქონდა და აქვს სწავლების მეთოდებზე, რადგან მასწავლებლის როლი პირდაპირი სწავლების გზით ცოდნისა და ფაქტების მიწოდება კი აღარ არის, არამედ აქტიური აღმოჩენის გზით სწავლება და ამ დროს სწავლაში დახმარება და სწავლის პროცესის მოდერატორობაა.

2. თანამშრომლობის რა ფორმებზეა საუბარი?

რეალური ცხოვრების შეტანა სკოლაში სხვადასხვაგვარად შეიძლება.

აქტორების სიის გაცნობამდე, კარგი იქნება, თუ „სკოლის“ ჩვენებულ გაგებას შემოგთავაზებთ. ჩვეულებრივ, ეს არის სახლი რამდენიმე საკლასო ოთახით, რესურსების ოთახით, ბიბლიოთეკით, სპორტული დარბაზით, სამასწავლებლოთი,

ხელმძღვანელის ოთახით, კანცელარიით და სხვ. საკლასო ოთახის გარდა სხვა ოთახებზე მოსწავლეებს მეტ-ნაკლები წვდომა აქვთ. ყოველ კლასში არსებობს ძირითადად ერთი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფი და ერთი მასწავლებელი. გაკვეთილების – სწავლის პერიოდის – განმავლობაში საკლასო ოთახის კარებები, ჩვეულებრივ, დახურულია. ერთ საკლასო ოთახში მყოფ მოსწავლეებს არავითარი შესაძლებლობა არ აქვთ გაიგონ, რა ხდება მეზობელ საკლასო ოთახში.

რეალური ცხოვრების სკოლაში შემოტანისთვის პირველი ნაბიჯი კარების გაღებაა! როდესაც ამგვარ სკოლაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს სკოლა როგორც საზოგადოება, კლასები, კლასი ან მოსწავლეთა მხოლოდ ერთი ჯგუფი.

სკოლას შეუძლია მოიწვიოს ცალკეული ადამიანები, მაგალითად, მშობლები ან ექსპერტი. მას შეუძლია თანამშრომლობა დაიწყოს ახლო ან შორს მდებარე სკოლებთან. შესაძლოა კულტურულ ან სპორტულ ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სთხოვოს საქმიანობების წარმოდგენა და ერთობლივ პროექტზე მუშაობა. კურიკულუმისათვის დამატებით ნოუჰაუდ შეიძლება იქცეს კერძო ბიზნესკომპანიებისა (მაგ., ბანკი) და კერძო პირების ინიციატივები (მაგ., სამეზობლო კლუბი¹).

ამგვარი თანამშრომლობითი პროექტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან უვადო, პროექტების ფარგლებში ტარდებოდეს მხოლოდ ერთი ან მრავალი, რეგულარული ან არარეგულარული ღონისძიებები. თანამშრომლობა შეიძლება დაიწყოს ინდივიდუალური (მასწავლებლის ან სკოლის ხელმძღვანელის) ინიციატივით, სიტყვიერი თანხმობით ან ოფიციალური წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებით.

თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და საქმიანობები შესაძლოა განხორციელდეს სკოლის შენობაში ან მის გარეთ.

როგორც აღვნიშნეთ, თანამშრომლობის ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია სარგებელი, რომელსაც პარტნიორები მოელიან. სკოლაზე საუბრისას ხელშესახები სარგებელი უნდა იყოს მოსწავლეთა სწავლის შედეგები. სკოლის მასშტაბით შედეგები განსაზღვრულია სილაბუსში და საგნობრივ პროგრამებში.

თანამშრომლობის პროექტებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს როგორც კონკრეტული საგნობრივი პროგრამისა და პროგრამათაშორის შინაარსის, ასევე დამატებითი ზე ან სასწავლო პროგრამის დამატებითი საგანმანათლებლო საკითხების მიზნების მიღწევას.

საქმიანობები შეგვიძლია სასწავლო პრობლემების სახით დაგვეგმოთ: მაგ., შევთავაზოთ დავალებები, რომლებიც შეესატყვისება სხვადასხვა საფეხურის კოგნიტურ, ემოციურ და ფსიქომოტორულ სასწავლო მიზნებს. (Bloom და სხვები 1956; Krathwohl, Bloom და Marcia 1973; Simpson 1972 ტაქსონომიების მიხედვით).

¹ სამეზობლო კლუბი საზოგადოებრივი მომსახურების არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც სთავაზობს პროფესიონალების მიერ ორგანიზებულ დასვენებისა და გაჯანსაღების პროგრამებს.

ასევე მხედველობაშია მისაღები მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის განსხვავებული დონეები.

3. რა პირობებსა და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამშრომლობას?

დავიწყოთ სკოლიდან: მის ხელმძღვანელს აქვს თანამდებობა და მას შეუძლია სკოლის კარის გაღება. თუ ხელმძღვანელი მხარს უჭერს თანამშრომლობის პროექტს, მას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მთავარი წინაპირობა შესრულებულია. ხელმძღვანელის მსგავსად მასწავლებელთა მოტივირებული და შემოქმედებითი გუნდი ინიციატივის წარმატების მთავარი გარანტია.

მიუხედავად მოტივაციისა და ხელმძღვანელის მხარდაჭერისა, მთავარ წინაპირობად სამართლებრივი საფუძველი რჩება. მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოშია შესაძლებელი სარგებლის მდგრადი ზრდა თანამშრომლობაში ჩართული მხარეებისთვის, ხოლო საზოგადოების მხრიდან ამ თანამშრომლობაზე შეთანხმება და მისი აღიარებაა.

სამართლებრივმა საფუძველმა ზუსტად უნდა აღწეროს: საზოგადოების მიერ დასახული განათლების ამოცანები, სასკოლო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა, ზედამხედველთა საბჭოს ჩათვლით, განსაზღვროს დაინტერესებული მხარეები, მათი უფლებები და მოვალეობები, ზოგადი განათლების მიზნების მიღწევის გზები. სამართლებრივი აქტები ასახავს მომავალი და მოქმედი მასწავლებლების ტრენინგს, სკოლის ზედამხედველთა საბჭოს როლს და მშობლის ან კანონიერი მეურვის სკოლის ცხოვრებაში ჩართულობის ფორმებს. კანონში ასევე აღწერილია კერძო პირების ან კომპანიების სასკოლო განათლებაში მონაწილეობის ძირითადი კრიტერიუმები და მონაწილეობის უფლების მოპოვების წესი. ეს მოთხოვნა ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებასაც ეხება.

ავსტრიული სკოლის კანონმდებლობის მაგალითი

ავსტრიაში ძირითადად საჯარო სკოლებია ამ სკოლებში არც გადასახადია და არც მისაღები გამოცდები. საჯარო სკოლის სისტემის დანახარჯებს (მასწავლებლის ხელფასი, შენობა, მასალები და სხვ.) ფარავს როგორც ადგილობრივი თემი, ასევე ადგილობრივი და ფედერალური ხელისუფლება. კერძო სკოლები თითზე ჩამოსათვლელია და ძირითადად დიდ ქალაქებში არსებობს; ისინი სახელმწიფო მიერ უნდა იყოს აკრედიტებული; მასწავლებლების შრომის ანაზღაურება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება. აღწერილი სამართლებრივი საფუძველი სავალდებულოა კერძო სკოლისთვისაც.

1962 წელს ავსტრიული განათლების სისტემაში საფუძველიანი რეფორმა განხორციელდა ფორმალური განათლების ორგანიზების კანონის შესაბამისად (Schulorganisationsgesetz SchOG; იხ.: <https://www.jusline.at/gesetz/schog>).² კანონის მე-2

² SchOG – Schulorganisationsgesetz – „კანონი სკოლის ორგანიზების შესახებ“.

პუნქტში ავსტრიული სკოლის მისია ასეა განსაზღვრული: ის ხაზს უსვამს ეთიკური, რელიგიური და სოციალური ღირებულებების განვითარებაზე და ავსტრიის დემოკრატიული და ფედერალური რესპუბლიკის მომავალი აქტიური მოქალაქის აღზრდაზე ორიენტაციას. ეს სამართლებრივი პირობები ერთნაირად ეხება საჯარო და კერძო სკოლებს. საჯარო სკოლაში არ არსებობს სწავლების გადასახადი. ის მოიცავს დეტალურ პროგრამას ყოველი საგნისა და ყოველი კლასისთვის.

სკოლის ავტონომიური რეგულირების შესაძლებლობა მოცემულია მე-6 პუნქტის, 1-ლ მუხლში: „შესაძლოა ფედერალურმა სამინისტრომ კონკრეტულ სკოლას მისცეს სპეციფიკური სასწავლო პროგრამის მიღების უფლება, რომელიც ადგილობრივი მოთხოვნების შესატყვისი იქნება და დაეყრდნობა მოსწავლეებთან და მათ კანონიერ მეურვეებთან შეთანხმებას. ...სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა გასცეს შესაბამისი ნებართვა“.

მე-7 პუნქტში განხილულია სკოლის კვლევის შესაძლებლობები, სასწავლო პროგრამის შექმნისა და სრულყოფის ასევე, დიდაქტიკურ მიდგომებისა და სოციალური სამუშაოს ფორმების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

მე-8 პუნქტში მოცემულია სავალდებულო გაკვეთილების გარდა არჩევითი საგნებისა და განსაკუთრებული უნარების კურსების დამატების შესაძლებლობა. ცვლილების შემდეგ გაიზარდა სასწავლო დღის ხანგრძლივობის გაზრდა – მთელი დღე ნახევარი დღის ნაცვლად. აღიარებულია, რომ ყოველ ასაკობრივ ჯგუფის შესაბამის სავალდებულო საგნობრივ პროგრამას მხოლოდ ჩარჩოს ფუნქცია ექნება. შეთანხმდნენ, რომ ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობას მოქნილი სტიმულირება სჭირდება. მიმდინარე რედაქციაში ხაზგასმულია ტრანსდისციპლინური კომპეტენციების, სწავლების პრინციპების, ზოგადი დიდაქტიკის პრინციპებისა და განათლების პრობლემების მნიშვნელობა (იხ. ავსტრიის განათლების ფედერალური სამინისტრო <https://www.bmb.gv.at/schulen/unterricht>).

კანონით ასევე შეიცვალა მასწავლებლის მომზადების სისტემა: ამალდა კვალიფიკაციის მოთხოვნები და განისაზღვრა ყოველი საფეხურისთვის (მაგ., § 118 და მომდევნო). სავალდებულო გახდა მასწავლებლის კვალიფიკაციის ამალღება და კონკრეტულ ინსტიტუტებს დაევაღათ ლექციების, კურსებისა და ტრენინგების შეთავაზება.

იმავე წელს ხელი მოწერა კანონს სკოლის ინსპექტირების შესახებ (იხ. სამართლებრივი საფუძველი:

<https://www.ris.bka.gv.at/GeltendeFassung.wxe?Abfrage=Bundesnormen&Gesetzesnummer=10009264>). კანონი აღწერს მის სტრუქტურას ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე და ასევე შესაბამისი ინსტიტუტების პასუხისმგებლობის სფეროებს. გადაწყვეტილების მიმდებმა კონსორციუმმა რეგიონულ დონეზე უნდა ჩართოს მშობელთა მეურვეობა, ხოლო საკონსულტაციო ხმა ეძლევა მრჩეველთა

საბჭოს, რომელიც შედგება ლეგიტიმური რელიგიური და სპეციფიკური ინტერესის მქონე ჯგუფების წარმომადგენლებისაგან, ასევე, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისაგან.

მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს აქტიური როლი და მდგომარეობა აქვთ სასკოლო საზოგადოებაში. ისინი აღარ არიან „სკოლის გარე“ პირები, რომლებსაც არ აქვთ სკოლასთან და/ან კლასთან დაკავშირებულ განხილვებსა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლება.

ორივე კანონმა სკოლებში დიდაქტიკური ინოვაციებისა და საგანმანათლებლო ექსპერიმენტების უზარმაზარ ტალღას შეუწყო ხელი. გამორჩეული ყურადღება დაიძახურა რეფორმისტული პედაგოგიკის (მაგ., მარია მონტესორი, სელესტინა ფრინეტი, პიტერ პეტერსონი, ჰელენ პარჰარსტი) იდეებმა, განათლებამ დემოკრატიისათვის (მაგ., ჯონ დიუი) და სასკოლო რეფორმის ავსტრიელმა პიონერებმა (მაგ., ოტო გლიუკელი).

1971 წელს განათლების ფედერალური სამინისტროს მიერ დაარსდა „სკოლის ექსპერიმენტებისა და განვითარების ცენტრი“ (Zentrum für Schulversuche und Schulentwicklung). ამ ორგანიზაციის ფუნქცია გახდა სკოლისთვის მეცნიერული და მატერიალური მხარდაჭერა შესაბამისი პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების გზით. ექსპერიმენტების ზემოაღნიშნული ტალღა გაკრიტიკდა ფრაზით: „არავითარი ექსპერიმენტები ბავშვებზე!“. მას შემდეგ ექსპერიმენტების მზარდმა რაოდენობამ გამოიწვია უნივერსიტეტებთან ან მასწავლებლის მომზადების კოლეჯებთან აფილირებული რეგიონული ცენტრების შექმნა.

1986 წელს განვითარების მომდევნო სტიმული ფორმალურ განათლებაში სწავლების შესახებ კანონი გახდა. (Schulunterrichtsgesetz SchUG³; იხ.: <https://www.jusline.at/gesetz/schug/paragraf/zitierhinw>).

კანონის მე-12 და მე-13 პუნქტებში მოცემულია არჩევითი კურსებისა და სკოლის გაკვეთილებთან დაკავშირებული ღონისძიებების რამდენიმე ტიპი, რომელთა მიზანია სასწავლო პროგრამაზე აგებული სწავლების შევსება. მათი ძირითადი იდეაა უზრუნველყოს „პირდაპირი და ცოცხალი კავშირი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებასთან“. შესაბამისი ღონისძიებები „უნდა დაეყრდნოს სასწავლო პროგრამას; ...ისინი უნდა ემსახუროს სწავლების საბაზისო იდეას ავსტრიაში სკოლის ორგანიზების შესახებ კანონის მე-2 პუნქტის მიხედვით“. სკოლის ხელმძღვანელობამ ღონისძიება „სკოლასთან/საგნობრივ პროგრამასთან დაკავშირებულად“ უნდა აღიაროს.

იმავე კანონის მე-17 პუნქტში ხაზგასმულია მასწავლებლის ის მოვალეობები, რომელიც სასკოლო განათლების შესახებ წინარე კანონებით არის განსაზღვრული „შეასრულოს ზოგადი მისია – სწავლებისა და განათლების ვალდებულების დაგეგმვა და რეალიზაცია ავტონომიურად და პასუხისმგებლობით“ (სკოლის

³ SchUG – Schulunterrichtsgesetz – „კანონი სასკოლო განათლების შესახებ“.

ორგანიზების შესახებ კანონი, §2). დაგეგმვა და სწავლება უნდა აიგოს არსებულ მეცნიერულ ცოდნაზე, ითვალისწინებდეს მოსწავლეთა განვითარების საფეხურს, წყვეტდეს კონკრეტულ და რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ასწავლიდეს მოსწავლეებს ავტონომიას და საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას. ეს მიზნები უნდა განმტკიცდეს შესატყვისი დიდაქტიკური მიდგომებით, სწავლის ინსტრუმენტებითა და სავარჯიშოებით. სასკოლო განათლებამ მყარი საფუძველი უნდა შეუქმნას მომავალში ავტონომიურ სწავლის პროცესსა და განვითარებას. ეს პუნქტი მხარს უჭერს სწავლების მეთოდებისა და დიდაქტიკური მიდგომების არჩევისადმი მასწავლებლის თავისუფლებას.

მე-18 პუნქტში განხილულია მოსწავლის საქმიანობის შეფასება, რადგან ტესტი, კითხვარი ან საერთო გამოცდა, როგორც საბოლოო შეფასების ინსტრუმენტი არასაკმარისად და არასამართლიანად მიიჩნევა. ისინი ვერ ასახავს განვითარების ინდივიდუალურ საფეხურს. მასწავლებელმა უნდა აღრიცხოს მოსწავლის საქმიანობა, მისი წვლილი და აქტიურობა გაკვეთილზე. მან მუდმივი მონიტორინგი უნდა აწარმოოს. შესატყვისი ინსტრუმენტებში უნდა აისახოს ზეპირი, წერილობითი, პრაქტიკული და სხვა ფორმის შეფასებები. ამ პუნქტის გამოყენებით სასკოლო მიღწევების შეფასება განვითარების დიაგნოსტიკებით შეიცვალა. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე პირველ სამ კლასში მოსწავლეები არ იღებენ სემესტრულ ან საბოლოო შეფასებას, თუმცა, მშობლებს წერილობით აცნობენ შვილის სწავლისა და განვითარების მდგომარეობას. ეს ინფორმაცია ემყარება პორტფოლიოს, რომელშიც თავმოყრილია და ასახულია მოსწავლის მიერ გაკვეთილზე შესრულებული სამუშაოები/ ნაშრომები. შესაბამისად, მაღალ კლასებში შეფასება მხოლოდ ციფრებით კი აღარ არის წარმოდგენილი, არამედ ზეპირი და/ან წერილობითი ინფორმაციაც და განმარტება მიეწოდება მშობელსა და მოსწავლეს. ამ საფეხურზე სულ უფრო და უფრო ხდება სწავლისა და განვითარების პროცესის შეფასება მასწავლებლის, მშობლის ან კანონიერი მეურვის და მოსწავლის ერთობლივი დიალოგის საშუალებით.

კანონის 46-ე პუნქტში ირიბი მინიშნებაა მასწავლებლის როლის ცვლილების აუცილებლობაზე. არსებული როლის მიხედვით, მასწავლებელი სასწავლო აქტივობების ცენტრში იყო: ის აწვდიდა ცოდნას, მასალებს, განსაზღვრავდა სასწავლო შედეგებს სასწავლო პროგრამის მიხედვით და უგულებელყოფდა ინდივიდუალურ ინტერესებს, განვითარებას და ადგილობრივ კონტექსტს. ახალი ხედვის მიხედვით სასწავლო აქტივობების ცენტრში მოსწავლეა: მასწავლებელი ინდივიდუალური სწავლის და განვითარების პროცესისთვის შესაძლებლობებს ქმნის. ასეთმა ცვლილებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს განათლების ზოგად მიზანის მიღწევას (სკოლის ორგანიზების შესახებ კანონი, §2) – გაზარდოს ცოდნის ხელმისაწვდომობა სკოლის გარე ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებში მონაწილეობით. სასკოლო ან

სკოლასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა შესაძლებელია სკოლის ფარგლებში ან მის გარეთ. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის თანამშრომლობითი პროექტების განხორციელება. წინამდებარე პუნქტით შესაბამისი აქტივობები ლეგალიზებულია სკოლის მრჩეველთა საბჭოს ნებართვის საფუძველზე.

თუ ინიციატივა არ გულისხმობს განათლების გაუმჯობესებას სკოლის ღიაობა კითხვებს: როგორ მოვიქცეთ, როდესაც დაინტერესებული ორგანიზაცია სკოლაში რეკლამის განთავსებას გვთავაზობს მხარდაჭერის სანაცვლოდ? 1996 წლიდან ამგვარი აქტივობები ნებადართულია, თუმცა, არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და საერთო საგანმანათლებლო მიზნების ფარგლებში. სკოლის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება; სკოლის მრჩეველთა საბჭოს კი, უფლება აქვს მოითხოვოს კონსულტაციები. ამას გარდა, ეს პუნქტი არასამთავრობო სპონსორების მიერ მატერიალური და/ან ფინანსური მხარდაჭერისთვის სამართლებრივ საფუძველს ქმნის. სკოლის სპონსორობა დეტალურად არის რეგულირებული შემდგომი აქტებით.

51-ე პუნქტი მასწავლებელს სკოლის ცხოვრების აქტიური ორგანიზების უფლებას და ვალდებულებას აკისრებს. ამ პუნქტის მიხედვით, სკოლა არ უნდა შემოიფარგლოს გაკვეთილებზე საგნების სწავლებითა და სწავლით, ის სოციალურ ჯგუფთა, თაობათა და კულტურათა ურთიერთგაცვლის ადგილია. ყოველგვარმა საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს და ემსახუროს მე-17 პუნქტში ჩამოყალიბებულ უმთავრეს ამოცანას. ამრიგად, მასწავლებელმა ზედმიწევნით ყურადღებით უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს გაკვეთილები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია ე.წ. სკოლისგარე ღონისძიებებზე.

ამ რეფორმის ხედვა შემდეგი იყო: სასკოლო სისტემაში დემოკრატიის იდეების შემოტანას მოსდევს დემოკრატიის იდეის გაზიარება საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საზოგადოებას, სახელმწიფო ორგანოებს, მასწავლებლებს, მშობლებს ან კანონიერ მეურვეებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის იდეა ხაზგასმულია მომდევნო რამდენიმე პუნქტშიც: 58-ე პუნქტი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში; 61-ე – მშობლებს წინადადებებისა და კომენტარების უფლებასა და ვალდებულებას აკისრებს; მათ მასწავლებელთა შეხვედრებში მონაწილეობის უფლება აქვთ; 63-ე პუნქტის მიხედვით შესაძლებელია მშობლების ინტერესთა ჯგუფების შექმნა, რომელსაც მხარს დაუჭერს სკოლის ხელმძღვანელი; ამას გარდა, ირჩევა მოსწავლეთა წარმომადგენელი კლასში და სკოლაში. (მასწავლებლებს, მშობლებს ან კანონიერ მეურვეებსა და მოსწავლეებს შორის დემოკრატიული თანამშრომლობის დეტალების შესახებ იხ.: Mayrhofer 2008).

გასული წლების განმავლობაში სამართლებრივმა ბაზამ საფუძველი ჩაუყარა სკოლის ან სკოლისგარე დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივით წამოწყებული

თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას. თანამშრომლობის განხორციელებამ და პრაქტიკამ ცხადყო ამ სამართლებრივი დებულებების განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაცია. ამას მოჰყვა რამდენიმე აუცილებელი შესწორება, მაგალითად, 1993 წლის „კანონი სკოლის ავტონომიის შესახებ“ (SchOG და SchUG): სწავლების ავტონომიურობა ადგილობრივ სკოლას უფლებას აძლევს მოარგოს სავალდებულო სასწავლო პროგრამა ადგილობრივ მოთხოვნებს და დაამატოს სავალდებულო საგნები. წინარე კანონმდებლობის ჩარჩოში ნებადართული იყო მხოლოდ არჩევითი საგნების დამატება. ასევე შესაძლებელია სილაბუსის ადაპტაცია. სხვა ასპექტები ეხება ფინანსურ, პიროვნულ და ადმინისტრაციულ–ორგანიზაციულ ავტონომიას (იხ.: Deininger 1998).

ავსტრიაში ფორმალური განათლების რეფორმის ყველა იდეა და ინიციატივა მიმართული იყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და არაპროგნოზირებადი მომავლისთვის ახალგაზრდების მომზადებაზე. ამ პროცესის აუცილებელი თანმდევი უნდა იყოს მეცნიერული კვლევა და შეფასება. ამ მიზნით ავსტრიის განათლების ფედერალური სამინისტროს მანდატის საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუტი, მაგალითად, ზრდასრულთა განათლების კვლევის ინსტიტუტი (“Bildungsforschung in Österreich” იხ.: <http://www.adulteducation.at/bifodok/>) (მონაცემთა ბანკშია 1999 წლიდან), ხოლო 2008 წელს შეიქმნა ავსტრიული სასკოლო სისტემის კვლევის, ინოვაციისა და განვითარების ფედერალური ინსტიტუტი (BIFIE - Bundesinstitut für Bildungsforschung, Innovation & Entwicklung des österreichischen Schulwesens, იხ.: <https://www.bifie.at/>), რომელიც პერიოდულად აქვეყნებს ეროვნული ფორმალური განათლების შესახებ ანგარიშს (იხ.: <http://www.bifie.at/NBB2015/>).

იმ შედეგების მეცნიერული ანალიზი, რომელიც აღნიშნულ რეგულაციებს მოჰყვა, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს სცილდება. თუმცა, სკოლის ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია აღინიშნოს ზოგიერთი დადებითი და ასევე პრობლემური ასპექტი.

მთავარი დადებითი შედეგი ის გახლავთ, რომ სასკოლო ცხოვრებას შეექმნა დემოკრატიული საფუძველი და გაიხსნა ფანჯარა სამოქალაქო საზოგადოებისკენ. არასამთავრობო (აო) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო) ისევე, როგორც კერძო ჯგუფებს შეუძლიათ საკუთარი იდეებისა და პრობლემების საკლასო ოთახებში მიტანა.

სხვა ასპექტებთან ერთად, უნდა აღინიშნოს გარე ჩართულობის სამი პრობლემა: შესატყვისი საკითხების/თემების მნიშვნელობის, გამეორებადობის და დიდაქტიკური მომზადების ხარისხის შეფასება. როგორც ზემოთ ვახსენეთ, სასწავლო პროგრამის გარე ყველა დამატებითმა საკითხმა ხელი უნდა შეუწყოს განათლების ზოგად მიზნებს (კანონი სასკოლო განათლების შესახებ, § 2). გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მასწავლებელს, სკოლის ხელმძღვანელს და

სკოლის მრჩეველთა საბჭოს. ამრიგად, ნებართვის მოპოვების პროცედურა ბარიერს არ ქმნის.

ამასთან, მრავალმა არასამთავრობო თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ შექმნა საკუთარი პრობლემების დაძლევის ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამა და სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები ვალდებულები არიან განახორციელონ სკოლასთან თანამშრომლობის პროექტები. პრაქტიკული დიდაქტიკური მიდგომები და სწავლების მეთოდები უმეტესწილად განსხვავდება გაკვეთილზე სწავლებისგან – ამრიგად, მოსწავლეებისთვის ჩნდება სწავლისა და ცოდნის მიღების პროცესის ალტერნატივა. ისინი იგებენ, რომ სწავლა ექსპლიციტური ცოდნის თვალსაზრისით მხოლოდ გაკვეთილს, სასწავლო პროგრამას, სკოლის შენობას და სასკოლო განათლებას არ უკავშირდება.

თანამშრომლობითი პროექტების ორგანიზება და მართვა მონაწილე მასწავლებლებისათვის გამოწვევაა, რადგან მათ პროექტის კონკრეტული სასწავლო პროგრამის შინაარსის კავშირი საგანმანათლებლო ღირებულებასთან. დამჭირავებელი დაინტერესებული მხარისათვის აუცილებელი პირობაა მათთვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელების დროს დაინტერესებული ჯგუფების შექმნა ან ექსპერტთა ზედამხედველობის გამოყენება.

როგორც აღვნიშნეთ, თანამშრომლობის პროექტების მიზანი ჩართულ მხარეთა ერთობლივი სარგებელია, რომელსაც ისინი ვერ მიიღებდნენ თანამშრომლობის გარეშე. ამ შედეგების შესახებ საზოგადოებამ უნდა გაიგოს მედიის (მაგ., ინფორმაცია გაზეთში, ან ჩართული მხარეების ვებგვერდზე) ან სპეციფიკური აუდიტორიის მოწვევით (მაგ., სამეზობლო თემი).

4. შედეგად, რა პრაქტიკასა და გამოცდილებას ველოდებით?

ფორმალური განათლების სექტორსა და ინსტიტუტებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის უთვალავი მაგალითი არსებობს. თუ გვსურს სისტემური მიდგომის შემუშავება – პრაქტიკის კვლევისას ორი შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ: (i) სწავლა-სწავლების პროცესში ღონისძიებათა დიფერენციაცია; (ii) ურთიერთმოქმედ პარტნიორთა კლასიფიკაცია.

(i) სწავლა-სწავლების მახასიათებლებია მოსწავლეთა აქტივობები, დიდაქტიკური მიდგომები და კლასის მართვა. მოსწავლეთა ყველა აქტივობას საფუძვლად უნდა ედოს სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო მიზნები – ამისათვის საჭიროა, რომ მასწავლებლებმა ზედმიწევნით ყურადღებით დაგეგმონ აქტივობა. ისინი პასუხისმგებელნი არიან იმ საგანმანათლებლო სარგებელზე, რომლის მიღებაც პროექტიდან შეუძლიათ მოსწავლეებს. საჭიროა ამ სარგებლის მკაფიოდ განსაზღვრა და აღწერა. შესატყვისი აქტივობების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს სკოლის

მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, გარემოს დაცვა, ექსკურსია, როგორც კლასგარეშე სწავლის შესაძლებლობა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკამ შეცვალა განათლების პარადიგმა, შეიქმნა ალტერნატიული დიდაქტიკა, რომელიც რეფორმისტული პედაგოგიკისა და კონსტრუქტივიზმის მიდგომების მსგავსია. ამის პარალელურად, მეცნიერული კვლევების შედეგად დადასტურდა ინდივიდუალურ განვითარებასა და ცოდნის შექმნასთან დაკავშირებული დადებითი შედეგები. ღია სწავლება და სწავლა, რომელიც ელექტრონულ სწავლასაც მოიცავს, ისეთ ინოვაციურ დიდაქტიკურ მიდგომებს მოითხოვს, როგორცაა მაგალითად, ავტონომიური შემსწავლელის (Betts და სხვები, 2016) ან სკოლის გამდიდრების მოდელი (Renzulli და Reis 2014).

ალტერნატიული დიდაქტიკური მიდგომები შეიცავს სწავლების ალტერნატიულ ფორმებს, ამ დროს სკოლის ფარგლებში აქტორთა თანამშრომლობა შესაძლოა პრაქტიკული იყოს: ორი მასწავლებლის მიერ გუნდური სწავლება, კონკრეტული საფეხურისთვის გაკვეთილის ერთობლივად ჩატარება თანამშრომლობის ფორმას; კროსდისციპლინური (cross subject) სწავლება აერთიანებს სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს საკითხის ტრანსდისციპლინური ასპექტების გარკვევასაც; პროექტი დღეებით და კვირებით დროში შეზღუდული ღია საკლასო აქტივობებია. ამ დროს ყურადღებას არ ვაქცევთ სწავლების საფეხურებს, მოსწავლეები საკითხზე მუშაობენ თავისუფალი არჩევანის პრინციპით თავიანთი ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

(ii) ურთიერთმოქმედ პარტნიორთა კლასიფიკაცია: თანამშრომლობას სჭირდება იდეის ინიციატორი და იდეის მიმღები/გამზიარებელი. ასეთი ტაქსონომია ინიციატორს პირველ ადგილზე აყენებს, გამზიარებელს კი – მეორეზე, თუმცა, ასეთი კლასიფიკაცია პარტნიორების იერარქიის მაჩვენებელი არ არის. აუცილებელია, განისაზღვროს გამოყენებული ტერმინები: ფორმალური განათლება (ფგ) აღნიშნავს არსებულ სისტემას, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის სკოლას, სკოლამდელ დაწესებულებას, კოლეჯსა და უნივერსიტეტს); არაფორმალური განათლება (აფგ) ნიშნავს ფორმალური განათლების სისტემის გარეთ ნებისმიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო აქტივობას; თავისუფალი/იმპლიციტური განათლება (თგ) კი ყოველდღიურ ცხოვრებაში განსხვავებული და უსისტემო სწავლის პროცესებია (დეტალებისთვის იხ.: Smith 2001), რომელიც განათლების სისტემური ფორმების თანაბარმნიშვნელოვანია.

ყოველი პარტნიორი განათლების სამი ფორმიდან ერთ-ერთის წარმომადგენელია. ქვემოთ მოცემული ავსტრიული გამოცდილების მაგალითები თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმას აღწერს.

- *უნივერსიტეტების, საუნივერსიტეტო კოლეჯების⁴, სკოლებისა (ფგ) და სამოქალაქო საზოგადოების (თგ) თანამშრომლობა*
 „კვლევის გრძელი ღამე“ (გერმანულად: Lange Nacht der Forschung): ყოველწლიური თანამშრომლობა მთელ ავსტრიაში (მაგალითისთვის იხ.:
<https://ist.ac.at/events/community-events/2016/long-night-of-research/date/574/>)
 „მოხალისეობრივი შრომა“: საზოგადოების საჭიროებებზე დაფუძნებული სწავლება, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება არის თანამშრომლობით პროექტებში მონაწილეობის დიდაქტიკური კონცეფციები .
- *საბავშვო ბაღის მასწავლებლებისა (ფგ) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის (აფგ) თანამშრომლობა*
 „შემოქმედებითი სახელოსნო მომავლისთვის“ (გერმანულად: Zukunftswerkstatt): თვითორგანიზებული „აზროვნების ცენტრი“ განმანათლებლებისთვის ზალცბურგში: ერთი დღის განმავლობაში საბავშვო ბაღის მასწავლებლები მუშაობენ რობერტ იუნგის ბიბლიოთეკაში (<https://jungk-bibliothek.org/>) მათი ორგანიზაციის მომავლისთვის ახალი იდეების შესამუშავებლად.
- *სკოლებისა (ფგ) და სამთავრობო ორგანიზაციების (აფგ) თანამშრომლობა*
 პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც პედაგოგიური მომზადება აქვთ გავლილი მოსწავლეებს ასწავლიან უსაფრთხო საგზაო მოძრაობის წესებს.
- *უნივერსიტეტების, საუნივერსიტეტო კოლეჯებისა (ფგ) და სკოლების (ფგ) თანამშრომლობა*
 „მოსწავლეები უნივერსიტეტში“ (გერმანულად: SchülerInnen an die Unis): სპეციფიკური წინაპირობების გათვალისწინებით უნივერსიტეტი ნებას აძლევს საშუალო საფეხურის მოსწავლეს დაესწროს რეგულარულ საუნივერსიტეტო კურსებს. (<https://www.uni-graz.at/de/studieren/studieninteressierte/studieneinstieg/schuelerinnen-an-die-hochschulen/>)
 „უნივერსიტეტი ბავშვებისთვის“ (გერმანულად: Kinderuni) განსაზღვრული დროის განმავლობაში უნივერსიტეტი სპეციალურ ლექციებს სთავაზობს 6 წლის და ექვს ზემოთ ასაკის მოსწავლეებს (<https://kinderuni.at/>)
- *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (აფგ), სამოქალაქო საზოგადოებისა (თგ) და სკოლების (ფგ) თანამშრომლობა*
 სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებში შეიქმნა განყოფილებები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განათლებასა და განვითარებაზე, ქმნიან მასალებს გაკვეთილისთვის ან საკუთარ პრობლემებს სასკოლო საზოგადოებას აცნობენ, მაგალითად, მუზეუმები (ZOOM – მუზეუმი ბავშვებისთვის, <https://www.kindermuseum.at/>), ზოოპარკი (ზოოპარკი ვენაში, <https://www.zoovienna.at/schulen-und-kindergaerten/unterrichtsfuehrungen/>), წითელი

⁴ საუნივერსიტეტო კოლეჯი – რიგ ქვეყნებში კოლეჯი, რომელიც უზრუნველყოფს მესამე საფეხურის განათლებას, მაგრამ არ აქვს სრული, დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სტატუსი. ის ხშირად მსხვილი უნივერსიტეტის ნაწილია. ზუსტი შინაარსი იცვლება ქვეყნების მიხედვით.

ჯვარი (სახლი, სადაც სწავლობენ, <http://www.rotekreuz.at/migration-suchdienst/integration/lernhaus/>), ჯანდაცვა (ავსტრიის სკოლებში ჯანდაცვის განათლების სამსახურის პუნქტი, <http://www.give.or.at/>), არქიტექტურის ცენტრი (ქალაქები ადამიანებისთვის, www.azw.at). ავსტრიის მრეწველობის ფედერაცია (<https://www.iv.at/de/themen/bildung-und-gesellschaft>) ემსახურება განათლებასა და საზოგადოებას შორის კავშირს სკოლებთან ერთად სპეციფიკური პროექტების განხორციელებით. მაგალითად, კომპანიები მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევენ სკოლის საშუალო საფეხურის იმ მოსწავლეებს, რომლებიც სამეცნიეროს წინარე ნაშრომზე მუშაობენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები სკოლის განვითარების მხარდაჭერას სპეციფიკური პროექტების შეფასებით გამოხატავენ (მაგ., comment – საზოგადოება განათლებაში კომუნიკაციის, განვითარებისა და დიალოგისათვის, www.komment.at).

არაკომერციული ასოციაციები, მაგალითად, სახანძრო ბრიგადა და სხვები (მაგ., ეროვნული პარკი, რომლის მიზანია გარემოს დაცვა) სკოლებს მასალებს, შემეცნებით ექსკურსიებსა და პირად გამოცდილებას სთავაზობენ. ასევე შეიძლება სწავლება გამდიდრდეს თეატრალურ ჯგუფებთან, მუსიკოსებთან, სპორტულ კლუბებთან, ჭადრაკის კლუბთან და სხვ., თანამშრომლობით.

- *მედიის (თვ), ასოციაციებისა (ავგ) და სკოლების (ფგ) თანამშრომლობა*
მედია, ანუ სამაუწყებლო ინსტიტუტი, აწყობს კონკურსებს და სთავაზობს ჯილდოს იმ პროექტებისთვის, რომლებშიც სკოლებს შეუძლიათ მონაწილეობა, მაგალითად, ჯილდო გარემოს დაცვისთვის (<http://www.vernetzte-er.de/>), მდგრადი ტექნოლოგიისათვის, სოციალური ჩართულობისთვის და სხვ.
- *მუნიციპალიტეტის/მთავრობისა (თვ) და სკოლების თანამშრომლობა (ფგ)*
ქალაქის საბჭოს ან მუნიციპალიტეტს შეუძლია სკოლების ჩართულობით პროექტის ინიცირება, მაგალითად, ზალცბურგის ქალაქის საბჭომ წამოიწყო პროექტი „ცოდნის თვე“ (<http://www.wissensstadt-salzburg.at/>).

ზემოაღნიშნულ პროექტებს არ აქვთ „საუკეთესო გამოცდილების“ სტატუსი. ისინი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება თანამშრომლობა სამართლებრივ საფუძველზე. ისინი ემსახურება იდეების ინიცირებას და არა „როგორ“ კითხვაზე რჩევების მიცემას. მთავარი მესიჯი ის არის, რომ თანამშრომლობის წარმატება დამოკიდებულია ჩართულ მხარეთა დადებით დამოკიდებულებაზე და ყველა პარტნიორის მიერ პროექტის მკაფიო მნიშვნელობის გაცნობიერებაზე.

თუ ოთხ კითხვაზე პასუხს შევაჯამებთ, შეიძლება ვთქვათ, საზოგადოების დადებითი დამოკიდებულება მოსაზრებისადმი, რომ თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლის პროცესისა და შედეგების ხარისხს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.. თუმცა, ასეთი დამოკიდებულება შესაბამისი პირობების გარეშე არ ჩნდება და არც მცირე დრო სჭირდება. ცხადია, შესაძლებელია წინასწარ კარგად განვჭვრიტოთ საზოგადოების მომავალი განვითარება და მოთხოვნები, დავსახოთ ახალგაზრდა თაობების უფლებამოსილების გაფართოების კურსი, რათა მათ შეძლონ

ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება. ასეთი ცვლილებები კი განათლების სისტემაში სწრაფად ვერ მოხდება. ავსტრიის მაგალითი ამის ნათელი მაგალითია. კონსტიტუციური კანონმდებლობა 1960-იან წლებში შეიქმნა, მაგრამ ამ პროგრესულ იდეას ხორცი მესამე ათასწლეულის დასაწყისში შეესხა. საჭირო გახდა მასწავლებელთა ახალი თაობა, ახალი განათლებით – მათი სწავლება მიმართული უნდა ყოფილიყო ბავშვის მოთხოვნებზე. მას შემდეგ ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკა, რომელიც ინდივიდუალიზმისა და ჯგუფური სწავლების კომბინირებას ახდენს, სწავლების პარადიგმა ხდება. (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის იდეა დაახლოებით 1900 წელს გაჩნდა!)

პარალელურად შეიქმნა და დამუშავდა „უწყვეტი განათლების“ იდეა. ის თანამშრომლობას ინდივიდისა და საზოგადოების მომავალი განვითარების პრინციპად სახავს და გაკვეთილის ორგანიზებაში კიდევ ერთ ფუნდამენტურ ცვლილებას გვთავაზობს: ორიენტაცია რეალური სამყაროს ცოცხალ გარემოზე და არა სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

ამ ახალი პარადიგმის კვალდაკვალ დამატებით მნიშვნელობას იძენს მასწავლებლის მომზადების რამდენიმე სფერო: თანამშრომლობით პროექტებს ჩართული პარტნიორებისა და სწავლის ფორმების გარდა, საჭიროა პროექტის „მნიშვნელობის“ მკაფიო ახსნა, ზედმიწევნით ფრთხილი და დეტალური მომზადება, პასუხისმგებლობაზე დამყარებული მონაწილეობა, პროცესისა და შედეგების შეფასება, თანმიმდევრული მონიტორინგი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების დიფერენცირება და დამატებითი ტრენინგი პროექტის მართვის კომპეტენციების განვითარებისთვის.

ისევ პირველ კითხვას დავუბრუნდით, ვფიქრობ, რომ მან აქტუალურობა დაკარგა ახალი ციფრული ტექნოლოგიისა და ინტერნეტის განვითარების გამო. ამ საშუალებებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, ცოდნასა და ინფორმაციაზე წვდომა, ინფორმაციის გაზიარება არსებითი პიროვნული უნარები გახდა. ამას გარდა, კომუნიკაციის საშუალებების განვითარების გამო ეკონომიკა, კვლევა, ხელოვნება და თავისუფალი დრო სულ უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება.. გაზიარება და თანამშრომლობა წარმატების აუცილებელი პირობა გახდა.

ამრიგად, კითხვა შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს: როგორ შეიძლება ვისწავლოთ თანამშრომლობა, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში მნიშვნელოვანია? ფორმალური განათლების ინსტიტუტებს, სკოლას აქვთ იმ სიტუაციებისა და ღონისძიებების შეთავაზების შესაძლებლობა, რომლებიც ახალგაზრდებს შესაბამის კომპეტენციებს განუვითარებენ.

5. დამატებითი იდეები, მეცნიერული მიდგომები, ბმულები, პროექტები

თანამშრომლობის ძირითადი იდეები შემუშავებულია ტრანსნაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ:

▫ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – UNO:
<http://www.un.org/sustainabledevelopment/education/>

- გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია – UNESCO: <https://en.unesco.org/themes/education-21st-century>
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი: <https://www.weforum.org/system-initiatives>
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD: <http://www.oecd.org/education/>
- ევროპის კავშირი – EU: <http://ec.europa.eu/education/>
- ევროპის საბჭო: <https://www.coe.int/en/web/compass/education>

ზოგიერთი თეორიული ასპექტი ეხება სკოლისა და საზოგადოების თანამშრომლობას, მაგალითად, საზოგადოების განათლება, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება, ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული სწავლება, ზრდასრულთა განათლება, განათლება უფლებამოსილებისთვის.

შერჩეული პროექტების ბმულები და სკოლის კორპორატიული იდენტობის კონცეფციები შესაძლოა ახალი იდეების წყარო გახდეს:

- კოოპერატიული სკოლები ინგლისში, კორნუოლი: <http://co-operativeschools.coop/>; <http://csnetwork.coop/>;
- სკოლა საზოგადოებისთვის: <http://nefnew.org/wp-content/uploads/2013/03/School-for-society-eng-version-handbook.pdf>
- სკოლა და დემოკრატია - გაცოცხლებული იდეები: <http://www.opeduca.eu>; http://www.opeduca.eu/An_invitation_for_Cooperation.html; http://www.opeduca.eu/The_OPEDUCA_Project_Europe.html;

გამოყენებული ლიტერატურა:

Austrian Education System.

<https://www.bmb.gv.at/schulen/bw/ueberblick/bildungswege2016.pdf?61ec10> Austrian School System <http://www.bildungssystem.at/en/>;

Betts G., Kapushion B., Carey R.J. (2016) The Autonomous Learner Model. In: Ambrose D., Sternberg R.J. (eds) Gift-edness and Talent in the 21st Century. Advances in Creativity and Giftedness, vol 10. SensePublishers, Rotterdam.

Bloom, B.S. (Ed.). Engelhart, M.D., Furst, E.J., Hill, W.H., Krathwohl, D.R. (1956).

Taxonomy of Educational Objectives, Handbook I: The Cognitive Domain. New York: David McKay Co Inc.

Deininger, R. 1998 Schulautonomie und Teilrechtsfähigkeit: Reformansätze im österreichischen Schulwesen. http://www.jahrbuch-politik.at/wp-content/uploads/Renate-Deininger_Schulautonomie-und-Teilrechtsfa%CC%88higkeit_Reformansa%CC%88tze-im-o%CC%88sterreichischen-Schulwesen.pdf

v. Foerster, H. 2002. Understanding understanding, a volume of von Foerster's papers.

Springer-Verlag. Krathwohl, D.R., Bloom, B.S., Masia, B.B. (1973). Taxonomy of Educational Objectives, the Classification of Educational Goals. Handbook II: Affective Domain. New York: David McKay Co., Inc.

- Maturana, H. R., and Varela, F. G. (1980). *Autopoiesis and Cognition: The Realization of the Living*. Reidel, Dordrecht.
- Maturana, H. R., and Varela, F. G. (1987). *The Tree of Knowledge*. Shambhala, Boston.
- Mayrhofer, P. (2008). *Schulgemeinschaft und Schuldemokratie in Österreich* (engl. School community and school democracy in Austria) *Forum Politische Bildung* (Hg.) Jugend - Demokratie - Politik, Band 28, S. 46 – 51, Innsbruck, Bozen, Wien.
www.demokratiezentrum.org
- Piaget, J. (1936). *Origins of intelligence in the child*. London: Routledge & Kegan Paul.
- Piaget, J. (1958). The growth of logical thinking from childhood to adolescence. *AMC*, 10, 12.
- Renzulli, J. S., Reis, S. M. (2014) *The schoolwide enrichment model. A how-to guide for talent development*. Prufrock Press.
- Simpson E.J. (1972). *The Classification of Educational Objectives in the Psychomotor Domain*. Washington, DC: Gryphon House.
- Smith, M. K. (2001). 'What is non-formal education?', *theencyclopedia of informal education*.
[<http://infed.org/mobi/what-is-non-formal-education/> . Retrieved: Nov 9, 2017].
- UNESCO. (1972). *Learning to Be: The World of Education Today and Tomorrow*. UNESCO, Paris.
- UNESCO. (1996). *Learning: The Treasure within*. UNESCO/HMSO, London.
- Vygotsky, L. S. (1978). *Mind in society: The development of higher psychological processes*. Cambridge, MA: Harvard University Press.